

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს  
2014 წლის 17 აპრილის  
დადგენილება № 1126

სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა  
და მობილობის ინსტრუქციის ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

I. ნაწილობრივ შეიცვალოს სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის დანართი 2 და მას დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

4. საშუალო შეწონილი შეფასების (Grade Point Average – GPA) გამოსათვლელად თითოეული საგნის კრედიტების (საათების) რაოდენობა მრავლდება ამ საგანში მიღებული ქულების (ბალების) შესაბამის პირობით შეფასებაზე და ასეთი ნამრავლების ჯამი იყოფა კრედიტების (საათების) ჯამზე.

ქულების (ბალების) შესაბამისი პირობითი შეფასებების სიდიდეები მოცემულია ცხრილებში:

ა) ECTS-ის ქულების საფუძველზე

ქულა	აღნიშვნა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA
91 - 100	A	ფრიადი	დადებითი	4,00
81 - 90	B	ძალიან კარგი	დადებითი	3,25
71 - 80	C	კარგი	დადებითი	2,50
61 - 69	D	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,75
51 - 60	E	საკმარისი	დადებითი	1,00
41 - 50	FX	ვერ ჩააბარა	უარყოფითი	0,00
0 - 40	F	ჩაიჭრა	უარყოფითი	

ბ) UK კრედიტების შესაბამისი ქულების საფუძველზე

ქულა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA
81 - 100	ფრიადი	დადებითი	4,0
61 - 80	კარგი	დადებითი	2,5
40 - 60	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,0
0 - 39	არადამაკმაყოფილებელი	უარყოფითი	0,0

ბ) 5-ბალიანი შეფასებების საფუძველზე

ბალი	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA
5	ფრიადი	დადებითი	4,0
4	კარგი	დადებითი	2,5
3	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,0
2	არადამაკმაყოფილებელი	უარყოფითი	0,0

II. ნაწილობრივ შეიცვალოს სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის 3.17 პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.17. სტუ უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. სტუ უფლებამოსილია აგრეთვე დაადგინოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობა შეფასების სხვა სისტემასთან (იხ. დანართი 2).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე